Gmail

Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com>

ბუღალტრული პროგრამის პერიოდული განახლება

Писем: 2

Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com> 21 февраля 2023 г. в 17:24
Кому: con spa gov ge <con@spa.gov.ge>

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს ესაჭიროება საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული არსებული პროგრამული უზრუნველყოფის, 2023 წლის ვერსით განახლების - მომსახურების შესყიდვა.

როგორც მოგეხსენებათ კლასიფიკატორის კოდი (72263000 - პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებული მომსახურებები) მოქცეულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების (კონსოლიდირებული ტენდერიბის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ) დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოძიებული იქნა შესაბამისი ფასი, სადაც მოცემულია მომსახურების საგანი და ღირებულება.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, გთხოვთ დაგვრთოთ ნება, ჯამში 3540 (სამიათასხუთასორმოცი) ლარად, კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ შევისყიდოთ ზემოთ აღნიშნული მომსახურება.

დანართი: ინვოისი (N2023/2) და მოხსენებითი ბარათი (01-19/95) 2 ფურცელზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ამირან გაგუა

Приложений: 2

მოხსენებითი ბარათი N01-19 95.pdf
107K

შპს ერთიგონი მომსახურების ღირებულება 3540 ლარი 2023.pdf
123K

con spa gov ge <con@spa.gov.ge> 22 февраля 2023 г. в 11:55
Кому: Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com>

მოგესალმებით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 21 თებერვლის მომართვა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების დანართით განსაზღვრული ობიექტების შესყიდვასთან (CPV-72200000) დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, ამ ეტაპზე, არ წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ არის წინააღმდეგი მომართვაში ნახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა განახორციელოთ კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

გაითვალისწინეთ, რომ შესყიდვა უნდა განხორციელდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოთხოვნათა დაცვით, ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N612 დადგენილების

მოთხოვნების გათვალისწინებით, მონეტარული ზღვრების შესაბამისად, მათ შორის ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

პატივისცემით,

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

[Цитируемый текст скрыт]